ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №18/18
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ამბროლაური 05 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ადმ-ტერ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის არჩილ ჯაფარიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ომარი გოცირიძე (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის კახაბერ ფარჯანაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა საქონლის შესყიდვა, ხელშეკრულების პირობებისა და დანართი №1-ის შესაბამისად. (CPV 15900000).

1.2 დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 43.20 (ორმოცდასამილარი და 20 თეთრი) ლარს.

2.2 ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 შესყიდვა ხორციელდება ადმინისტრაციისათვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული სახსრებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 დღე.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. ამბროლაური.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი შესაბამისობაში იქნება მოქმედ ნორმებთან და სტანდარტებთან.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.1.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.2.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი და რაიმე დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს მისი აღმოფხვრა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

5.3.2 მიწოდებულ საქონელში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ახლით ან/და ნაკლის აღმოფხვრა.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია:

5.4.1 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

5.4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

6.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატის უფროსის მოადგილე.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიწოდებულ საქონელზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს აპარატის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლალი ყიფიანი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

8.1.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება სასაქონლო ზედნადების, საგადახდო ანგარიშფაქტურის წარმოდგენისა და მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო

დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების გადაცდომის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა ან ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხება ან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით დადგება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკებისას მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 აპრილამდე.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ადმ-ტერ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში); ს/კ 222938007;	ი/მ ომარი გოცირიძე
ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N11	ქ. ამბროლაური, კოსტავას 7
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა;	საქართველოს ბანკი, BAGAGE22
ბანკის კოდი TRESGE22;	ა/ა GE60BG 0000 0008 2754 6500
ა/ა GE24NB 0330 1002 0016 5022	ს/კ 04001002980
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი	მინდობილი პირი
არჩილ ჯაფარიძე	კახაბერ ფარჯანაძე

N	CPV	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	15981100	არაგაზირებული წყალი "სნო" 0.5ლ.	ბოთლი	48	0.5	24
2	15981200	გაზირებული მინერალური წყალი "ნაბეღლავი" 0.5ლ.	ბოთლი	24	0.8	19.2
ჯამური თანხა						43.2

შემსყიდველი

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

არჩილ ჯაფარიძე

მიმწოდებელი

მინდობილი პირი

კახაბერ ფარჯანაძე